სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №54 ხელშეკრულებით
გათვალისწინებული სამუშაოების
მიღება-ჩაბარების აქტი

ხელვაჩაური 20.05.11 წ.

ერთის მხრივ შპს „აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორმა ჯემალ გოგიტიძემ და მეორეს მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 15 აპრილის №49 ბრძანებით შექმნილმა „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელმა ინსპექტირების ჯგუფმა", 2011 წლის 18 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №54 ხელშეკრულების საფუძველზე, პირველმა გადასცა, ხოლო მეორემ მიიღო 2011 წლის 18 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №45 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შემდეგი ობიექტებისათვის:

| № | ობიექტის დასახელება | ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | დაბა ხელვაჩაურში სპორტკომპლექსის მოწყობაზე | 7500 | |
| | სულ: | 7500 | |

მიღება-ჩაბარება განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტის, 9.4.2 ქვეპუნქტით გავალისწინებული, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 3 (სამი) ეგზემპლიარი და ერთი ელექტრონული ვერსიის სრული პაკეტი, ღირებულებით 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი.

ასევე, შპს „აჭარსპეცპროექტი"-მ შეასრულა და მუნიციპალიტეტის გამგეობას უსასყიდლოდ გადასცა აღნიშნული სპორტკომპლექსის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ალტერნატიული ვარიანტი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „აჭარსპეცპროექტი"-ს შორის 2011 წლის 18 მარტს გაფორმებული №54 ხელშეკრულებით საქონლის მიწოდების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შპს „აჭარსპეცპროექტი"-მ ვერ შეასრულა საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინა 2011 წლის 20 მაისს, 20 დღის დაგვიანებით, რის გამოც მას უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო, 7500 ლარის 0.2% ყოველ გადაცილებულ დღეზე, ანუ 15X20=300 ლარის ოდენობით.

აქტი შედგენილია ჩვენს მიერ, სწორია და ხელს ვაწერთ.

ჩააბარა: შპს „აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორი ჯემალ გოგიტიძე

მიიღო:

1. გურამ საფარიძე–ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ენვერ ასამბაძე-გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის, ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, ჯგუფის მდივანი;
3. ოთარ ბასილაძე-გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი
4. ელნარ მამულაიშვილი-გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთ. სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში, ჯგუფის წევრი;
5. გურამ მამულაძე-გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის, ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთ. სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

შესრულების საბანკო გარანტია №PE22940/11

თბილისი 15 მარტი 2011 წელი

გარანტი: სს "საქართველოს ბანკი"
მიმწოდებელი: შპს "აჭარსპეცპროექტი" (ს/კ: 245427364)
ბენეფიციარი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
საგარანტიო თანხა: 225.00 (ორასოცდახუთი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "აჭარსპეცპროექტმა" (ს/კ: 245427364), (შემდგომში "მიმწოდებელი"), დაბა ხელვაჩაურში სპორტკომპლექსის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ სს "საქართველოს ბანკი", თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

225.00 (ორასოცდახუთი) ლარი

და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. მოთხოვნაში განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული მიმწოდებლის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; საბანკო გარანტიის ასლი და წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში თუ ადგილი აქვს ანგარიშსწორებას, განხორციელებული ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დგინდება, რომ მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორება ბენეფიციარის მხრიდან განხორციელდა ან/და ხორციელდება მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში" მიმწოდებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოო დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2011 წლის 30 მაისისა (30 მაისის ჩათვლით).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულ თარიღამდე შემდეგ მისამართზე: სს "საქართველოს ბანკი", სამარ თეუსი, პუშკინის ქ. №3, თბილისი 0105, საქართველო.
საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ე. ჩხეიძე

გარანტიების სამსახურის უფროსი

7500
~~1444~~
1144-07
6355-93

www.bog.ge
ტელ (+995 32) 444 444, ფაქსი (+995 32) 444 174
Georgia, Tel: (+995 32) 444 444, Fax (+995 32) 444 174

## ხელშეკრულება
## მომსახურების შესახებ

### მუხლი 1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში 2011 წლის 12 აპრილს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი

ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთის მხრივ შ.პ.ს. "სტუდია არხი", მდებარე ქ. თბილისი, თ. აბულაძის ქ.' №21 წარმოდგენილი მისი დირექტორის, მანანა თავხელიძის სახით, შემდგომში „დამკვეთი" და

მეორეს მხრივ შპს " აჭარსპეცპროექტი" მდებარე მისამართზე ქ. ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. № 19/21, წარმომადგენელი მისი დირექტორის, ჯემალ გოგიტიძის სახით შემდგომში „შემსრულებელი".

### მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი უკვეთავს ხოლო შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების 4.1. პუნქტში აღნიშნული სამუშაო, რისთვისაც დამკვეთი კისრულობს გადაუხადოს შემსრულებელს შესაბამისი საზღაური ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.

### მუხლი 4. მომსახურების სახე

4.1. შემსრულებელი განახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებას:
შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. გომარდულში საკურორტო კომპლექსის ტერიტორიის ტოპოგეგმის შედგენა.

### მუხლი 5. ფასი

5.1. დამკვეთი შემსრულებელს ხელშეკრულების 4.1. მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობასათვის უხდის თანხას ტოპოგეგმის შედგენაში 6000 ლარი (დღგ ჩათვლით)

### მუხლი 6. გაწეული მომსახურეობის მიღება

6.1. შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს და გადასცეს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში.

6.2. გაწეული მომსახურეობის მიღების ადგილია თ. აბულაძის №21.

### მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

7.4 შემსრულებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის რაც შეიძლება მიადგეს დამკვეთს ან მესამე პირს მის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო.

## 8. უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სამუშაოს წარდგენის ვალდებულება.

8.1. მენარდე ვალდებულია გადასცეს დამკვეთს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება (შესრულებული სამუშაო).

8.2. „ნივთობრივად უნაკლო" ქონების (შესრულებული სამუშაოს) ქვეშ მხარეები გულისხმობენ ქონებას (შესრულებულ სამუშაოს), რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

8.3. „უფლებრივად უნაკლო" ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები დამკვეთს გადაცემული ქონების გამო.

## 9. პრეტენზიის წარდგენის ვადები

9.1. იმ შემთხვევაში თუ შესრულებული სამუშაო ნაკლის მქონეა, დამკვეთი უფლებამოსილია არ მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს და წერილობით პრეტენზიით მიმართოს მენარდეს შესრულებული სამუშაოს გამოსწორების მოთხოვნით.

9.2. თუ შესრულებული სამუშაო ნაკლის მქონეა, მენარდე მოვალეა საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი გონივრულ ვადებში.

9.3. თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში (ან თუ ნაკლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო ამ ვადაში, ნაკლის აღმოჩენიდან ერთი კვირის ვადაში) დამკვეთი არ მიმართავს მენარდეს პრეტენზიით შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო, იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს მენარდისგან ნაკლის გამოსწორება.

## მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

10.2. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

10.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

10.4. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

10.5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებისამებრ.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეწყვეტის წესი**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11.2 დამკვეთს უფლება აქვს მომსახურების გაწევამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელის შესრულებული მომსახურეობა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

11.3 შემსრულებელს შეუძლია მომსახურების გაწევამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ დამკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება.

**მუხლი 12. დამატებითი პირობები**

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად. ერთი ინახება დამკვეთთან, მეორე – შემსრულებელთან.

12.2 ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე , ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

**მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

შემსრულებელი:

______________________ /ჯემალ გოგიტიძე/

დამკვეთი:

______________________ /მანანა თაქხელიძე/

**ხელშეკრულება**

**მომსახურების შესახებ**

**მუხლი 1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში 2011 წლის 12 აპრილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი**

ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთის მხრივ შ.პ.ს. "სტუდია არსი", მდებარე ქ. თბილისი, თ. აბულაძის ქ. №21 წარმოდგენილი მისი დირექტორის, მანანა თავხელიძის სახით, შემდგომში „დამკვეთი" და

მეორეს მხრივ შპს " აჭარსპეცპროექტი" მდებარე მისამართზე ქ. ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. № 19/21, წარმომადგენელი მისი დირექტორის, ჯემალ გოგიტიძის სახით შემდგომში „შემსრულებელი".

**მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი უკვეთავს ხოლო შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების 4.1. პუნქტში აღნიშნული სამუშაო, რისთვისაც დამკვეთი კისრულობს გადაუხადოს შემსრულებელს შესაბამისი საზღაური ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 4. მომსახურების სახე**

4.1. შემსრულებელი განახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებას:

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. გომარდულში საკურორტო კომპლექსის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

**მუხლი 5. ფასი**

5.1. დამკვეთი შემსრულებელს ხელშეკრულების 4.1. მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობისათვის უხდის თანხას გეოლოგიური კვლევისათვის 2000 ლარი (დღგ ჩათვლით)

**მუხლი 6. გაწეული მომსახურეობის მიღება**

6.1. შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს და გადასცეს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში.

6.2. გაწეული მომსახურეობის მიღების ადგილია თ. აბულაძის №21.

**მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა**

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

7.4 შემსრულებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის რაც შეიძლება მიადგეს დამკვეთს ან მესამე პირს მის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამო.

## 8. უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სამუშაოს წარდგენის ვალდებულება.

8.1. მენარდე ვალდებულია გადასცეს დამკვეთს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება (შესრულებული სამუშაო).

8.2. „ნივთობრივად უნაკლო" ქონების (შესრულებული სამუშაოს) ქვეშ მხარეები გულისხმობენ ქონებას (შესრულებულ სამუშაოს), რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

8.3. „უფლებრივად უნაკლო" ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები დამკვეთს გადაცემული ქონების გამო.

## 9. პრეტენზიის წარდგენის ვადები

9.1. იმ შემთხვევაში თუ შესრულებული სამუშაო ნაკლის მქონეა, დამკვეთი უფლებამოსილია არ მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს და წერილობით პრეტენზიით მიმართოს მენარდეს შესრულებული სამუშაოს გამოსწორების მოთხოვნით.

9.2. თუ შესრულებული სამუშაო ნაკლის მქონეა, მენარდე მოვალეა საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი გონივრულ ვადებში.

9.3. თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში (ან თუ ნაკლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო ამ ვადაში, ნაკლის აღმოჩენიდან ერთი კვირის ვადაში) დამკვეთი არ მიმართავს მენარდეს პრეტენზიით შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო, იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს მენარდისგან ნაკლის გამოსწორება.

## მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

10.2. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები. კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

10.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

10.4. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

10.5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებისამებრ.

## მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეწყვეტის წესი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11.2 დამკვეთს უფლება აქვს მომსახურების გაწევამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებლის შესრულებული მომსახურეობა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

11.3 შემსრულებელს შეუძლია მომსახურების გაწევამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ დამკვეთმა შესძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება.

## მუხლი 12. დამატებითი პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად. ერთი ინახება დამკვეთთან, მეორე – შემსრულებელთან.

12.2 ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

## მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსრულებელი:

_______________________ /ჯემალ გოგიტიძე/

დამკვეთი:

_______________________ /მანანა თავხელიძე/

**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №104**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 19 აპრილი, 2011 წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიასა, მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25 (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს „აჭარსპეცპროექტი", მის: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. №19/21 , (შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის იმის გათვალისწინებით, რომ:

შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (SPA110007394) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV71300000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 55000.00 (ორმოცდათხუთმეტიათასი) ლარი. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

**წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
გ) ტექნიკური პირობები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი;
დ) ფასების ცხრილი;
ე) სს „საქართველოს ბანკი"-ის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია №PE23464/11.

2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ზემოთ მითითებული თარიღიდან 2011 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი.

ყოველი ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**„შემსყიდველი“**

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826; ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“
ბათუმის ფილიალი, ბ/კ: MIBGGE22
ანგ. №GE81PC0033300100000003
ქ. ბათუმის მერის მოადგილე:
დავით სამნიძე

(ხელმოწერა)

**„მიმწოდებელი“**

შპს „აჭარსპეცპროექტი“,
ს/კ 245427364 მის.: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. №19/21,
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ანგ. №GE90BG0000000285162700,
ბ/კ: BAGAGE22
დირექტორი: ჯემალ ბოგიტიძე

(ხელმოწერა)

## ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

**შემსყიდველი**: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, ს/კ. 245576826, მის.: ლუკა ასათიანის ქ. №25, ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალი, ანგ. №GE81PC0033300100000003 , ბ/კ: MIBGGE22

**მიმწოდებელი**: შპს „აჭარსპეცპროექტი", ს/კ 245427364, მის.: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. №19/21,ს.ს. „საქართველოს ბანკი", ანგ. №GE90BG0000000285162700, ბ/კ: BAGAGE22

### 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 3. სტანდარტები

3.2 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

### 4. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

4.1 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელი დამირ ლომთათიძე.

5.2. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს (ინსპექტირებას) ხელშეკრულების შესრულებაზე ყოველდღიურად მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მომსახურების გაწევის ადგილზე.
5.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.5. შემსყიდველი ვალდებულია სისტემატიურად შეამოწმოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ხორციელდება თუ არა სატენდერო დოკუმენტაცის მოთხოვნათა შესაბამისად.
5.6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელი დამირ ლომთათიძე, რომლის ფუნქციები განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლით.

## 6. მომსახურების გაწევის პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა განხორციელდეს ტექნიკური დავალების შაბამისად.
6.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადების შესაბამისად.
6.3. მიმწოდებელთან შეთანხმებით შემსყიდველს უფლება აქვს სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი თანხის ფარგლებში შეიტანოს ცვლილება მომსახურების შესრულების გრაფიკში და გრაფიკის შესაბამისად გასაწევი მომსახურების მოცულობებში.
6.4. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში და გრაფიკის შესაბამისად გასაწევი მომსახურების მოცულობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველის უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ხელმოწერილი შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტით.
7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. ომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
7.3. გაწეული მომსახურების მიღება მოხდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ პირობების შესაბამისად.
7.4. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.
7.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

7.6. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

**8. გარანტია**

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მომსახურება განხორციელდება ტექნიკური დავალების შესაბამისად.
8.2. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

**9. ანგარიშსწორება**

9.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
9.2. შემსყიდველის მიერ შესრულებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვით, გადახდის სერთიფიკატის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
9.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: გადახდის სერთიფიკატი, მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა.
9.4. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
9.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.
9.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

**10. ანგარიშსწორების ვალუტა**

10.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ლარებში.

**11. უფლებების გადაცემა**

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს (სუბკონტრაქტორს) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

12.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის

მიმწოდებელსეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით;

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

13.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**14. სუბკონტრაქტორები**

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

**15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს

ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 16. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

16.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

16.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

16.3. სს „საქართველოს ბანკი"-ის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის №PE23464/11 ღირებულება შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

16.4. სს „საქართველოს ბანკი"-ის მიერ მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია №PE23464/11, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფაზე ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოო დამთავრებამდე არაუგვიანეს 2012 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

## 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 19. სადავო საკითხების გადაწყვეტა

19.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 20. ხელშეკრულების ენა

20.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

## 21. გადასახადები და ბაჟები

21.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## ტექნიკური პირობები

### შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, მათ შორის:

ა) ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ბ) ქ. ბათუმში შენობა-ნაგებობების სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

გ) ქ. ბათუმში სხვადასხვა (ფასადების შეღებვა, სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერებისა და პარკების გამწვანებისა და სხვა) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

### გასაწევი მომსახურება

საველე კვლევა-ძიება და კამერალური სამუშაოები;

ა) საპროექტო სამუშაოები;

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;

გ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

დ) საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა;

ე) დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენა;

ვ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

ზ) გეოლოგიური გამოკვლევა.

### დავალების შინაარსი

მიმწოდებელთან შეთანხმებით, საჭირო შემთხვევებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა ცალკეულ პუნქტებში. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაოები შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით:

ბ) საკვლევაძიებო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები გარდა სამშენებლო მოედნისა,

ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;
გ) პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
დ) პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების და დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით.
ე) მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე.

## დავალების შესრულების წესი

დავალების შესრულების წესი განისაზღვრება დავალების შინაარსით და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით. კონკრეტული ობიექტების პროექტების შედგენის ვადები განისაზღვრება ტექნიკური დავალებებით.

## ნორმატიული დოკუმენტები

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:
- სნიპ II-2-80 = შენობა-ნაგებობების პროექტირების ანტისახანძრო ნორმები;
- სნიპ II-7-81 = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-საძიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ 2-02.0I-83 = შენობა-ნაგებობების საფუძველი;
- სნიპ 2.03.0I-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-23-81 = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ II-25-80 = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ II-26-76 = სახურავები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ 2.04.01-85 = შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-64-80 = საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებები;
- სნიპ 544-82 = შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგების პროექტირების ინსტრუქცია.

## მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ზე მეტი გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

კუთვნილება

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში.

ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის ნაწილის ან სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

მხარეების მოქმედება მოცულობის ცვალებადობის შემთხვევაში

მომსახურების მოცულობის ცვალებადობის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებით

– დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან დამთავრება 2011 წლის 25 დეკემბერს, მომსახურების გაწევის სახარჯაღრიცხვო ფასებითა და განსაზღვრებით.

## ფასების ცხრილი

| № | საპროექტო მომსახურების დასახელება | მომსახურების სავარაუდო ღირებულება (ლარი) | მომსახურების პროცენტი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 1 600 000 ლარამდე | 1,3 | 20800,00 |
| 2 | ქ. ბათუმში შენობა-ნაგებობების სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 1 600 000 ლარამდე | 1,5 | 24000,00 |
| 3 | ქ. ბათუმში სხვადასხვა (ფასადების შეღებვა, სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერებისა და პარკების გამწვანებისა და სხვა) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 900 000 ლარამდე | 1,1333 | 10200,00 |
| **სულ ჯამი** | | | | **55000,00** |

## ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE23464/11

14 აპრილი 2011 წელი

თბილისი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869) (შემდგომში „გარანტი")
გარანტის მისამართი: პუშკინის ქ. #3, თბილისი, 0105, საქართველო
პრინციპალი: შპს „აჭარსაგზაპროექტი" (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 245427364
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ბათუმი, 9 აპრილის, ქ.№21
ბენეფიციარი: ქ. ბათუმის მერია (შემდგომში „ბენეფიციარი")
საგარანტიო თანხა და ვალუტა: 2,750 (ორი ათას შვიდასორმოცდაათი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მას/ზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 2,750 (ორი ათას შვიდასორმოცდაათი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; საბანკო გარანტიის ასლი და წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში თუ ადგილი აქვს ანგარიშსწორებას, განხორციელებული ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დგინდება, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორება ბენეფიციარის მხრიდან განხორციელდა ან/და ხორციელდება მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში" პრინციპალის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან ნებისმიერი პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულ თარიღამდე შემდეგ მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, პუშკინის ქ. #3, თბილისი, 0105, საქართველო. კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

1/1

ხელშეკრულება №104

მიღება-ჩაბარების აქტი №1

შემსყიდველი: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

მიმწოდებელი: შპს „აჭარსპეცპროექტი"

წარმოდგენის თარიღი: 2011 წლის 29 ივლისი

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი | სახელშ. მომსახურების პროცენტი | მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების თანახმად | მომსახურების ღირ-ბა მიმდინარე მიღება-ჩაბარებით 50 % | ადრე გაწეული მომსახურების ღირებულება | ანაზღაურება გადასახდელი მიმდ. მიღება-ჩაბარების აქტით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | სკვერი წერეთლის ქუჩაზე | ლარი | 30 430,0 | 1,1333 | 10 200,00 | 344,86 | 0,00 | 344,86 | ✓ |
| 2 | სკვერი ნიჟარაძისა და გ. წერეთლის ქუჩების კვეთაში | ლარი | 24 580,0 | 1,1333 | 10 200,00 | 278,57 | 0,00 | 278,57 | ✓ |
| 3 | სასპორტო სკოლისათვის ურეხში სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია | ლარი | 79 370,0 | 1,1333 | 10 200,00 | 899,50 | 0,00 | 899,50 | ✓ |
| 4 | სასპორტო სკოლისათვის ურეხში სპორტული მოედანზე მდებარე გასახდელისა და მწვრთნელების ოთახების სარემონტო სამუშაოები | ლარი | 196 460,0 | 1,50 | 24 000,00 | 2 946,90 | 0,00 | 2 946,90 | ✓ |
| 5 | სახანძროს შენობების სარემონტო სამუშაოები | ლარი | 122 400,0 | 1,50 | 24 000,00 | 1 836,00 | 0,00 | 1 836,00 | ✓ |
| 6 | ქუჩების გარე განათების სამუშაოები | ლარი | 577 500,0 | 1,30 | 20 800,00 | 7 507,50 | 0,00 | 7 507,50 | ✓ |
| 7 | ეზოების გარე განათების სამუშაოები | ლარი | 21 070,0 | 1,30 | 20 800,00 | 273,91 | 0,00 | 273,91 | ✓ |
| 8 | საჯაჭრო პავილიონის მშენებლობის სამუშაოები | ლარი | 53 800,0 | 1,50 | 24 000,00 | 807,00 | 0,00 | 807,00 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | შაფათავას ქ. №49ა - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 9 800,0 | 1,30 | 20 800,00 | 127,40 | 0,00 | 127,40 | |
| 10 | წერეთლის შესახვევი №1 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 9 530,0 | 1,30 | 20 800,00 | 123,89 | 0,00 | 123,89 | |
| 11 | მაიაკოვსკის ქ. №55/24 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 9 530,0 | 1,30 | 20 800,00 | 123,89 | 0,00 | 123,89 | |
| 12 | თამარის დასახლება №11 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 8 700,0 | 1,30 | 20 800,00 | 113,10 | 0,00 | 113,10 | |
| 13 | თამარის დასახლება №24 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 13 470,0 | 1,30 | 20 800,00 | 175,11 | 0,00 | 175,11 | |
| 14 | ტბელის შესახვევი №3/5 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 13 690,0 | 1,30 | 20 800,00 | 177,97 | 0,00 | 177,97 | |
| 15 | გრიბოედოვის ქ. №51/55 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 13 520,0 | 1,30 | 20 800,00 | 175,76 | 0,00 | 175,76 | |
| 16 | გოგებაშვილის ქ. №74 - საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 11 460,0 | 1,30 | 20 800,00 | 148,98 | 0,00 | 148,98 | |
| 17 | გოგებაშვილის ქ. №74 - სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები | ლარი | 5 400,0 | 1,30 | 20 800,00 | 70,20 | 0,00 | 70,20 | |
| 18 | ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში, ბილიკზე განათების პროჟექტორების სამონტაჟო სამუშაოები | ლარი | 108 870,0 | 1,30 | 20 800,00 | 1 415,31 | 0,00 | 1 415,31 | |
| | სულ ჯამი | | | | | | | 17 545,85 | |

შევადგინეთ აღნიშნული აქტი მასზედ რომ მომსახურება გაწეულია დამაკმაყოფილებლად ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

დამოწმებულია შემსყიდველის მიერ:

ტექნიკური ზედამხედველი: ტ. მახარაძე

დამოწმებულია მიმწოდებლის მიერ:

შპს „აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორი: ჯ. გოგიტიძე

# ა ქ ტ ი

ქ. ბათუმი 16.08.2011 წ

ერთის მხრივ ქალაქ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთ. სპეციალისტმა ტარიელ მახარაძემ და მეორეს მხრივ შპს "აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორმა ჯ. გოგიტიძემ შევადგინეთ აქტი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №104 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-12 მუხლის საფუძველზე, რომ შპს „აჭარსპეცპროექტი"-ს მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, იმის თაობაზე, რომ მას 25/04-1933 15.06.2011 წლის წერილის თანახმად გოგებაშვილის ქ. №48-ში მდებარე მ. ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ნაწილის რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოეწოდებინა 15 ივლისამდე.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №104 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-12 მუხლის შესაბამისად შპს „აჭარსპეცპროექტი"-მ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის – 33 (ოცდაცამეტი) დღის ვადის გადაცილების გამო დაეკისროს ყოველ დაგვიანებულ დღისათვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 პროცენტის ოდენობით.

- აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს.

ქალაქ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური განყოფილების მთ. სპეციალისტი: ტ. მახარაძე

შპს"აჭარსპეცპროექტი"- დირექტორი: ჯ.გოგიტიძე

-3-

# გადახდის სერთიფიკატი № _3_

ხელშეკრულება №104 (19 აპრილი 2011 წელი)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

**შემსყიდველი:** თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

**მიმწოდებელი:** შპს "აჭარსპეცპროექტი"

**შესრულების ვადა:** 2011 წლის 25 დეკემბერი

| № | დასახელება | ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ხელშეკრულების საწყისი ფასი | 55 000,00 |
| 2 | ხელშეკრულების საბოლოო ფასი | 55 000,00 |
| 3 | გაწეულ მომსახურებათა საერთო ღირებულება | 25 340,00 |
| 4 | ადრე დამოწმებულ მომსახურებათა ღირებულება | 21 444,95 |
| 5 | მომსახურებათა ღირებულება მიმდინარე სერთიფიკატით | 3 895,05 |
| 6 | ჯარიმა ვადის გადაცილებისათვის | 1 815,00 |
| 7 | წმინდა გადასახდელი თანხა ამ სერთიფიკატით | 2 080,05 |

შემსყიდველი:

დამოწმებულია შემსყიდველის მიერ:

კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი: [illegible] ბალათურია

შეამოწმა:

კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე: ფ. [illegible]ეტრიძე

მიმწოდებელი:

დამოწმებულია მიმწოდებლის მიერ:

შპს "აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორი: ჯ. გოგიტიძე

ხელშეკრულება №104

მიღება-ჩაბარების აქტი №3

**შემსყიდველი:** თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

**მიმწოდებელი:** შპს „აჭარსპეცპროექტი“

**წარმოდგენის თარიღი:** 2011 წლის 16 აგვისტო

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი | სახელშ. მომსახურების პროცენტი | მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების თანახმად | მომსახურების ღირ-ბა მიმდინარე მიღება-ჩაბარებით 50 % | ადრე გაწეული მომსახურების ღირებულება | ანაზღაურება გადახდას მიმდ. მიღება-ჩაბარების აქტით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №48-ში მდებარე მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სახელოვნებო სკოლის სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაცია | ლარი | 259 670,0 | 1,5 | 24 000,00 | 3 895,05 | 9 489,00 | 3 895,05 | |
| | **სულ ჯამი** | | | | | | | **3 895,05** | |

შევადგინეთ აღნიშნული აქტი მასზედ რომ მომსახურება გაწეულია დამაკმაყოფილებლად ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

დამოწმებულია შემსყიდველის მიერ:

ტექნიკური ზედამხედველი: ... მახარაძე

დამოწმებულია მიმწოდებლის მიერ:

შპს „აჭარსპეცპროექტი“-ს დირექტორი: ჯ. გოგიტიძე

## ხელშეკრულება №104

მიღება-ჩაბარების აქტი №5

**შემსყიდველი:** თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

**მიმწოდებელი:** შპს „აჭარსპეცპროექტი"

**წარმოდგენის თარიღი:** 2011 წლის 14 სექტემბერი

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი | სახელშ. მომსახურების პროცენტი | მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების თანახმად | მომსახურების ღირ-ბა მიმდინარე მიღება-ჩაბარებით 50 % | ადრე გაწეული მომსახურების ღირებულება | ექვემდებარება გადახდას მიმდ. მიღება-ჩაბარების აქტით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | ინასარიძის ქ. №22ა-ში მდებარე №6 საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური შეკეთების • სამუშაოები | **ლარი** | **480 190,0** | **1,5** | **24 000,00** | **7 202,85** | **13 384,05** | **7 202,85** | |
| | **სულ ჯამი** | | | | | | | **7 202,85** | |

შევადგინეთ აღნიშნული აქტი მასზედ რომ მომსახურება გაწეულია დამაკმაყოფილებლად ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

დამოწმებულია შემსყიდველის მიერ:

ტექნიკური ზედამხედველი: ტ. მახარაძე

დამოწმებულია მიმწოდებლის მიერ:

შპს „აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორი: ჯ. გოგიტიძე

ს/ვ – 0383787

ქ. ბათუმი | მიღება ჩაბარების აქტი | 17 თებერვალი 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი პირები, ერთის მხრივ ა(ა).ი.პ. "აჭარის განათლების ფონდი", წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი თავბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „აჭარსპეცპროექტი", წარმოდგენილი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით, ვადგენთ მიღება ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მეორე მხარემ ჩააბარა, ხოლო პირველმა მხარემ ჩაიბარა ჩვენს შორის 2012 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება №9-ის მე-2 მუხლის I პუნქტით გათვალისწინებული ა(ა).ი.პ. „აჭარის განათლების ფონდის" შენობის მე-3 სართულისა და მე-4 სართულის ერთი ოთახის რეაბილიტაციის შესახებ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (თანდართული ნახაზებით)

ჩვენს შორის 2012 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება №9-ის მე-3 მუხლის I პუნქტით ა(ა).ი.პ. „აჭარის განათლების ფონდის" შენობის მე-3 სართულისა და მე-4 სართულის ერთი ოთახის რეაბილიტაციის შესახებ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (თანდართული ნახაზებით) მომზადების ღირებულება შეადგენს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

ა(ა).ი.პ. „აჭარის განათლების ფონდის" შენობის მე-3 სართულისა და მე-4 სართულის ერთი ოთახის რეაბილიტაციის შესახებ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (თანდართული ნახაზებით) მომზადებულია ხარისხიანად.

აქტი ჩვენს მიერაა შედგენილი რა შედეგიც ვაწერთ ხელს.

ჩაიბარა:

ირაკლი თავბერიძე
დირექტორი

ჩააბარა:

ჯემალ გოგიტიძე
დირექტორი

0/3- 0363380

მიღება-ჩაბარების

# აქტი

ქ. ბათუმი                                                                                    9 მარტი 2012 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ-აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის გიორგი დეკანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „აჭარასპეცპროექტი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ სსიპ-აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსა და შპს „აჭარასპეცპროექტი"-ს შორის დადებული 2012 წლის 6 მარტის №41 ხელშეკრულების საფუძველზე პირველმა ჩაიბარა, ხოლო მეორემ ჩააბარა შემდეგი სახის სამუშაო: **სსიპ-აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის პლაჟზე განსათავსებელი საგუშაგო კოშკურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.**

ხელშეკრულების ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს.

**ჩააბარა**

/ჯ.გოგიტიძე/ ------------------

**ჩაიბარა**

/გ. დეკანაძე/ ------------------

## შპს „აჭარისპეცპროექტი"-ს მიერ შესრულებული სამუშაოს მიღების აქტი

### აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი - პროექტის განხორციელების ჯგუფის მხარდაჭერა, საინჟინრო პროექტის მომსახურება და კონტრაქტის კონტროლი

აჭარისპეცპროექტმა და SWECO International AB გააფორმეს ხელშეკრულება დეტალური პროექტის დოკუმენტების მომზადების შესახებ შენობებისა და სხვა ინფრასტრუქტურული შენობებისათვის, ასევე სამშენებლო ნებართვის მიღების შესახებ ჩაქვის ნაგავსაყრელისათვის. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2011 წლის 7 სექტემბერს SWECO International AB ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აჭარისპეცპროექტს გადაურიცხა ავანსის სახით (10.500:-EUR) .

აჭარისპეცპროექტმა შეასრულა ხელშეკრულებაში აღნიშნული სამუშაოები 2011 წლის ნოემბრის ბოლოსთვის მიმდინარე აქტის დანართის შესაბამისად. ხელშეკრულებაში აღნიშნული სამუშაოები შეწყდა 2011 წლის ნოემბრის ბოლომდე, რადგანაც კლიენტმა (აჭარის მთავრობა) შეცვალა ნაგავსაყრელის ტერიტორიის მდებარეობა. შესაბამისად აჭარისპეცპროექტმა ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული დავალებები, ამიტომ ურთიერთგაგების საფუძველზე ხელშეკრულების თანხებიც შეიცვალა (იხილეთ დანართი).

გადახდის სტატუსი და პროცედურა:

| | |
|---|---|
| ხელშეკრულების საბოლოო ფასი: | 24.500:-EUR |
| უკვე გადარიცხული ავანსი: | 10.500:-EUR |
| დარჩენილი გადასახადი დანართის მიხედვით: | 14.000:-EUR |

დარჩენილ გადასახადს SWECO გადაურიცხავს აჭარისპეცპროექტს მას შემდეგ რაც EBRD ინვოისების კონტროლის განყოფილება დაამტკიცებს SWECO ინვოისს.

მიმდინარე აქტის ხელმოწერის მომენტისთვის აჭარისპეცპროექტს ჩაბარებული აქვს ყველა ნახაზი, რაოდენობრივი აღრიცხვა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები SWECO-ს წარმომადგენლებისათვის. ნახაზები და სხვა დოკუმენტები წარმოადგენს SWECO საკუთრებას და შეუძლია გამოიყენოს SWECO-მ ყოველგვარი დამატებითი გადახდის ან ხელშეკრულების გარეშე.

ბათუმი, 2012-02-09

ანდრეას ლ. ლინდგრენ
SWECO International AB

ჯემალ გოგიტიძე
აჭარისპეცპროექტი

ACT OF ACCAPETANCE OF WORKS PERFORMED BY AJARASPECPROJEKT Ltd.

Adjara Solid Waste Management Project – Support to the Project Implementation Unit, Engineering Design Services and Contract Supervision

Adjaraspecproekt and SWECO International AB signed an Agreement for Preparation of detailed design documents for buildings and other infrastructure facilities and obtaining construction permits for landfill in Chakvi. The Agreement was signed on 7 September 2011 and based on the stipulation of the Agreement SWECO International AB has transferred an advance payment (10.500:-EUR) to Ajaraspecproekt.

Ajaraspecprojekt has performed the tasks given in the Agreement by the end of November 2011 according the Appendix to the current Act. The works given in the Agreement were ceased by the end of November 2011 because the Client (Ajara Government) has modified the location of the Landfill site. In turn, Ajaraspecprojekt partially fulfilled its tasks given in the Agreement therefore the contract amount was modified based on common understanding (see Appendix).

Modified contract value and payment procedure:

| | |
|---|---|
| Modified contract | 24.500:-EUR |
| Advance payment already transferred: | 10.500:-EUR |
| Rest payment according the completion rate (Appendix): | 14.000:-EUR |

The ***Rest payment*** will be transferred by SWECO to Ajaraspecprojekt when the EBRD Invoice Control accepted SWECO's invoice.

When signing the current Act, Ajaraspecprojekt transferred all drawings, BQs and other relevant documents to SWECO's representatives. The drawings and other documents are representing properties of SWECO and can be used by SWECO in the future without any further agreement or payment obligations to Ajarspecprojekt.

Batumi, 2012-02-09

Andreas L. Lindgren
SWECO International AB

Jemal Gogititdze
Ajaraspecprojekt

# მიღება-ჩაბარების აქტი

ერთის მხრივ „Sweco International AB", მდებარე მისამართზე P.O. Box 34044 SE-100 26 Stokholm, Sweden Reg. No 556079-1336 წარმოდგენილი მისი მენეჯერის, დოქტორ დანიელ ირიონის სახით, შემდგომში „დამკვეთი" და მეორეს მხრივ შპს "[illegible]" მდებარე მისამართზე ქ. ბათუმი ჩ. გამსახურდიას ქ. № 19/21, წარმომადგენელი მისი დირექტორის, ჯემალ გოგიტიძის სახით შემდგომში „შემსრულებელი", ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შემსრულებელმა გადასცა, ხოლო დამკვეთმა მიიღო მხარეთა შორის 2010 წლის 12 ნოემბერს დადებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 4.1. მუხლში მითითებული 4 000 (ოთხი ათასი) ევროს ღირებულების შესრულებული სამუშაო.

მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2011 წლის 25 იანვარს შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი ჩ. გამსახურდიას ქ. № 19/21.

გადამცემი /ჯემალ გოგიტიძე/

მიმღები /დანიელ ირიონი/

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. ბათუმი

17 აპრილი 2012 წ.

ჩვენ ერთის მხრივ სსიპ „აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი შესყიდვების კოორდინატორის თამარ კეკელაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „აჭარსპეცპროექტი" (შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით ვადგენთ ამ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ თანახმად 2012 წლის 16 მარტის N7 ხელშეკრულების საფუძველზე მომწოდებელმა წარმოადგინა და შემსიდველმა მიიღო დეფექტური აქტი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ღირებულებით 20000 ლარი.

თამარ კეკელაშვილი

ჯემალ გოგიტიძე

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №102

ქ. ქობულეთი „31" „მაისი" 2011 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი, (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნიკო ზერაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. აჭარისპეცპროექტი (ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქუჩა №19/21), დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი 74) ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ის მოპირდაპირედ მოედანის კეთილმოწყობითი სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 4000 (ოთხიათასი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 "მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას;

## 3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ის მოპირდაპირედ მოედანზე კეთილმოწყობითი სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

## 4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

## 5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება.

**6.** შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**7.** ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

**8.** მხარეთა უფლება–მოვალეობები

**8.1** შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

**8.2** შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

**8.3** მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

**8.4** მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,
8.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.

**9.** ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10.** ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 1%-ს ოდენობით,

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

**11.** ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

**12.** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

**13.** დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**14.** სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**15.** ხელშეკრულების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წყვეტს მოქმედებას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებისთანავე.

**16.** განსაკუთრებული პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გვერდზე, 4 (ოთხი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;
16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო სამი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

17. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
17.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
17.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქუჩა №19/21
18.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22** ა/ა **GE90BG0000000285162700**; საიდენტიფიკაციო კოდი **245 427 364**
18.3 „მიმწოდებელი"– შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტი"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი,
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — ნოდარ ბერაძე

„მიმწოდებელი"– შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტი"
დირექტორი — ჯემალ გოგიტიძე

ხელშეკრულება 01-24/61
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 19 დეკემბერი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 21.10.2011 წლის # 2027 განკარგულების შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აჭარსპეცპროექტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), ჯემალ გოგიტიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ჩაქვის ნაკვეთზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (გეოლოგია, ტოპოგრაფია, სადრენაჟო არხების მოწყობა, სასათბურე ფართის დაპროექტება 6000 კვ.მ, წყლის მომარაგება, მორწყვის სისტემა ნაკვეთში, ელ. კვება, ფარდული - ნაზავის მოსამზადებლად 72 კვ.მ, სასაწყობო ფართი, დაცვის ფართი, საპირფარეშო, გასახდელი, საშხაპე და ოფისი ერთ შენობაში 72 კვ.მ, სარეზერვო წყლის აუზი, გზისა და გამყოფი ზოლების დაგეგმარება) (CPV კოდი 71200000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 19000 (ცხრამეტიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, 50 % –ნი წინასწარი გადახდით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების საფასურის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 7 საბანკო დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის

შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2011 წლის 31 ნოემბრის ჩათვლით.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, სახიფათო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| --- | --- |
| ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" | შ.პ.ს. „აჭარისპეცპროექტი" |
| მის.ქ.ბათუმი გოგებაშვილის ქ.#46ა | მის.ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. 19/21 |
| ს.ს საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი | ს.ს. „საქართველოს ბანკი" BAGAGE22 |
| ანგარიში #GE78BG0000000886744500 | ანგარიში #GE90BG0000000285162700 |
| ს/კ445399391 | ს/კ 245427364 |
| დირექტორი | დირექტორი |
| როინ ფოსამიძე | ჯემალ გოგიტიძე |

**ხელშეკრულება 01-24/61**

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. ბათუმი 19 დეკემბერი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის, მე-10¹ მუხლის, მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 21.10.2011 წლის # 2027 განკარგულების შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აჭარსპეცპროექტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), ჯემალ გოგიტიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია ჩაქვის ნაკვეთზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (გეოლოგია, ტოპოგრაფია, სადრენაჟო არხების მოწყობა, სასათბურე ფართის დაპროექტება 6000 კვ.მ, წყლის მომარაგება, მორწყვის სისტემა ნაკვეთში, ელ. კვება, ფარდული - ნაზავის მოსამზადებლად 72 კვ.მ, სასაწყობო ფართი, დაცვის ფართი, საპირფარეშო, გასახდელი, სამზარეულო და ოფისი ერთ შენობაში 72 კვ.მ, სარეზერვო წყლის აუზი, გზისა და გამყოფი ზოლების დაგეგმარება) (CPV კოდი 71200000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1 შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 19000 (ცხრამეტიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3. შესყიდვის მომსახურების ხარისხი**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

**4. შესყიდვის მომსახურების მიწოდების პირობები**

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

**6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)**

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების საფასურის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 7 საბანკო დღისა.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გაწყვეტა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2012 წლის 19 იანვრის ჩათვლით.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ურთიერთი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" | შ.პ.ს. „აჭარპეპროდუქტი" |
| მის.ქ.ბათუმი გოგებაშვილის ქ.#46ა | მის.ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. 19/21 |
| ს.ს საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი | ს.ს. „საქართველოს ბანკი" BAGAGE22 |
| ანგარიში#GE78BG0000000886744500 | ანგარიში #GE90BG0000000285162700 |
| ს/კ445399391 | ს/კ 245427364 |
| დირექტორი | დირექტორი |
| როინ დიასამიძე | ჯემალ გოგიტიძე |

მხარეთა შეთანხმება № 06

ქ. ბათუმი 26 დეკემბერი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აჭარსპეცპროექტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით ვდებთ აღნიშნულ შეთანხმებას ურთიერთშორის 2011 წლის 19 დეკემბრის # 01-24/61 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

1) ხელშეკრულების 6.1 პუნქტში შევიდეს ცვლილება კერძოდ, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების საფასურის შესაბამისად და ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შემდეგ წარმოდგენილი 50%–ანი საბანკო გარანტიით.
2) მხარეთა შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად და წარმოადგენს # 01-24/61 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"
მის.ქ.ბათუმი გოგებაშვილის ქ.#46ა
ს.ს საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი
ანგარიში#GE78BG0000000888744500
ს/კ445399391
დირექტორი
როინ დიასამიძე

მიმწოდებელი
შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტი
მის.ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. 19/21
ს.ს. „საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ანგარიში #GE90BG0000000285162700
ს/კ 245427364
დირექტორი
ჯემალ გოგიტიძე

## ხელშეკრულება
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №36

ქ. ბათუმი 14.06.2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვით, ერთის მხრივ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს** (ქ.ბათუმი, ვ.გორგასალის ქ.№126) წარმომადგენილი სამმართველოს უფროსი თენგიზ ცინცქილაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს „აჭარსპეცპროექტი" (ბათუმი, ზ.გამსახურდიას ქ.№19/21)დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულებით "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას შეადგინოს საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, (თანახმად დანართისა), მდებარე ქ. ბათუმში, ვ.გორგასალის ქ.№126. CPV(71320000)

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო მომსახურების თანხა შეადგენს 4760 (ოთხიათასშვიდასსამოცი) ლარს.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
3.2. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
3.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებებისაგან.

### 4. გარანტია

4.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, გაწეული მომსახურება, მისი ხარისხი და ყველა სხვა მახასიათებლები შეესაბამება ასეთი სახეობისათვის და მომსახურებისადმი წაყენებულ სტანდარტებს და "შემსყიდველის' მოთხოვნებს.

### 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხდება სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში(ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).
5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების თარიღიდან 10 საბანკო დღის ვადაში.
5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

### 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
7.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

**8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

**10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ან შეამოწმოს შესრულებული სამუშაო. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, შესრულებული სამუშაოს რეაბილიტაცია და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

**11. ფორს-მაჟორი**

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება

12.1. შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

12.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

12.3. შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 5 ივლისამდე.

## 17. გადასახადები და ბაჟები

17.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება „შემსყიდველს", ხოლო ერთი „მიმწოდებელს".

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ქ. ბათუმი ვ.გორგასალის ქ. №126
**აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება**
**საარქივო სამმართველო**
*ანგარიში №GE78BG0000000886744500*
*საიდენტიფიკაციო კოდი: 245429610*
*მიმღების ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი"*
*ბანკის კოდი: BAGAGE22*
სამმართველოს უფროსი: თ.ცინცქილაძე

„მიმწოდებელი"

ქბათუმი ზ.გამსახურდიას ქ№21
**შპს „ აჭარსპეცპროექტი"**
*ანგარიში №GE90BG0000000285162700*
*საიდენტიფიკაციო კოდი:245427364*
*მიმღების ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი"*
*ბანკის კოდი: BAGAGE22*
დირექტორი ჯ.გოგიტიძე

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 11200622

საპროექტო დოკუმენტაციის შექმნის შესახებ

ქ. ბათუმი -6 - ივლისი- 2011 წ

შ.პ.ს „აჭარსპეცპროექტმა“, შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებულმა დირექტორის, ჯემალ გოგიტიძის სახით ერთის მხრივ და შპს „UGLEPROM GEORGIA“-მ, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებულმა, კომპანიის წარმომადგენლის დიმიტრი პეტროვის სახით, მეორეს მხრივ, დადეთ ხელშეკრულება შემდეგზე.

### 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეადგინოს წინასაპროექტო დოკუმენტაცია ტექნიკური პირობების ჩათვლით და ჩაატაროს სამუშაოები მოცემული დავალების შესასრულებლად. „დამკვეთი“ კი კისრულობს დროულად მიიღოს და გადაიხადოს, „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ბათუმში ხახულის ქ. №1 (რკინიგზის ჩიხი) მდებარე ლოჯისტიკური ტერმინალი, აქ და შემდეგში „ობიექტად“ წოდებული. ხელშეკრულებით შედგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა მითითებულია №1 სპეციფიკაციაში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება არაუმეტეს 24 000,0 ლარისა (ოცდაოთხიათასი), დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება სპეციფიკაცია №1-ით, ასევე „დამკვეთის“ მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტებით.

### 2. ანგარიშსწორების წესი

2.1. „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული მომსახურების ანაზღაურება „დამკვეთის“ მიერ ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მოცემული კონტრაქტით ნაჩვენებ საბანკო ანგარიშზე ფულადი გადარიცხვით.

### 3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადები თანხმდება ორივე მხარესთან დამატებით და ნაჩვენებია შესაბამის სპეციფიკაციებში, რომლებიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## Д О Г О В О Р № 11200622

*Об оказании услуг по проектированию*

Батуми 06 июля 2011г.

О.О.О. «Аджарспецпроект» в лице директора Джемала Гогитидзе, именуемое в дальнейшем - «Исполнитель» с одной стороны и ООО «Углепром Джорджия» в лице представителя компании, Дмитрия Петрова действующего на основании доверенности, именуемое в дальнейшем – «Заказчик» с другой стороны, заключили договор о нижеследующем.

### 1. ПРЕДМЕТ ДОГОВОРА:

1.1. «Исполнитель» обязуется оказать услуги по проектированию и подготовке полного объема сопутствующей документации, включая технические условия и т.д., а также проведению всех связанных с выполнением данной задачи работ, а «Заказчик» обязуется своевременно принять и оплатить оказанные «Исполнителем» услуги. Объектом договора является логистический терминал, расположенный по адресу г.Батуми, ул. Хахули №1 (железнодорожный тупик), здесь и далее именуемый «объект». Объем выполняемых по настоящему договору работ, указывается в соответствующих Спецификациях, которые являются неотъемлемой частью настоящего Договора.

1.2. Общая стоимость настоящего Договора составляет не более GEL 24 000,00 (двадцать четыре тысячи) лари с учётом НДС. Стоимость договора, определяется суммой Спецификаций, а также подтвержденных заказчиком Актов выполненных работ.

### 2. ПОРЯДОК РАСЧЕТОВ

2.1. Оплата услуг «Исполнителя» выполняется «Заказчиком» путем безналичного перечисления денежных средств на указанный в настоящем контракте банковский счет.

### 3. СРОКИ ВЫПОЛНЕНИЯ УСЛУГ

3.1. Сроки выполнения работ согласовываются сторонами дополнительно и указываются в соответствующих Спецификациях, являющимися неотъемлемой частью настоящего Договора.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები პასუხისმგებელნი არიან მოცემული ხელშეკრულების ჩარჩოებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. „შემსრულებელი" იღებს პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოების ხარისხსა და მათი შესრულების ვადებზე.

4.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში დაზარალებული მხარე აკისრებს დამნაშავე მხარეს საჯარიმო სანქციებს, მიყენებული ზარალის შესაბამისად.

## 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანი შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

5.2 დაუძლეველი ძალის მდგომარეობას მიეკუთვნება ბუნებრივი და სტიქიური ძალის შემთხვევები, სახელდობრ: ხანძრები, წყალდიდობები, მიწისძვრები, საომარი მდგომარეობა და სხვა.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, ამ გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

6.2. მხარე, რომელიც მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას ცალმხრივად, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იმ მიზეზის ჩვენებით, რომლის გამოც ის თვლის შესაძლებლად ხელშეკრულების შეწყვეტას და დროს, რომლიდანაც ამ მხარეს უნდა ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან ერთად აღნიშნული რიცხვი არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) დღეზე ადრე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების გაგზავნიდან.

6.3. მხარე, რომელიც შეატყობინებს ხელშეკრულების შეწყვეტას, ვალდებულია 30

## 4. ОТВЕТСТВЕННОСТЬ СТОРОН

4.1. Стороны несут ответственность в рамках настоящего Договора в соответствии с действующим законодательством Грузии.

4.2. «Исполнитель» несет ответственность за:

- соблюдение качества выполненных работ и сроков их выполнения;

4.3. В случае невыполнения или несвоевременного выполнения Сторонами своих обязательств по настоящему договору, пострадавшая сторона взыскивает с виновной стороны неустойку и штрафные санкции в размере обоснованного понесенного ущерба.

## 5. ФОРС-МАЖОР.

5.1. Стороны освобождаются от ответственности за частичное или полное неисполнение обязательств по настоящему Договору, если это неисполнение явилось следствием обстоятельств непреодолимой силы.

5.2. К обстоятельствам непреодолимой силы относятся события природного и стихийного характера, а именно: пожары, наводнения, землетрясения, военные действия и т.д.

5.3. Сторона, для которой создалась невозможность исполнения обязательств по Договору вследствие наступления обстоятельств непреодолимой силы, должна о наступлении этих обстоятельств известить в письменном виде другую Сторону без промедления, однако не позднее 5 дней с даты их наступления.

## 6. СРОК ДЕЙСТВИЯ И ПОРЯДОК РАСТОРЖЕНИЯ ДОГОВОРА.

6.1. Договор вступает в силу с момента его подписания Сторонами и действует до полного выполнения ими своих обязательств по Договору или до момента его расторжения.

6.2. Сторона, намеревающаяся требовать расторжения Договора в одностороннем порядке, должна предварить такое использование указанного права направлением другой Стороне уведомления о расторжении с указанием причин, по которым она считает возможным требовать расторжения Договора, и даты, начиная с которой извещающая Сторона желала бы прекратить действие настоящего Договора. При этом указанная дата не может быть ранее истечения 30 (тридцати) дней с момента отправки Стороной уведомления о расторжении.

6.3. Сторона, заявившая о расторжении договора,

| | |
|---|---|
| | **Спецификация № 1 к ДОГОВОРУ № 11200622 от <u>06 июля 2011г.</u>** |

| | | Наименование работ | Цена/единицу, GEL |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | Топографическая съемка площадки в размере 5 Га | 2 200,00 |
| | | Геологическое заключение по имеющимся грунтам, с взятием образцов не менее, чем в 3-х местах | 500,00 |
| | | Составление и подготовка к утверждению генерального плана объекта | 400,00 |
| | | Составление и подготовка к утверждению архитектурно-планировочного задания объекта | 500,00 |
| | | Проектирование фундаментов 2-х козловых кранов г/п 25 тн. и г/п 3 тн. соответственно | 2 800,00 |

ИТОГО стоимость оказания услуг по договору составляет GEL 6 400,00 (шесть тысяч четыреста) лари.

Дж. Гогитидзе / ჯ. გოგიტიძე

Д.Д. Петров/ დ. პეტროვი

დღის განმავლობაში აწარმოოს მთლიანი ურთიერთანგარიში მეორე მხარესთან.

### 7. სხვა პირობები

7.1 ყველა კამათი და აზრთასხვაობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, შეძლებისდამაგვარად გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან 30 დღის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეები საქმეს განსახილველად გადასცემენ საარბიტრაჟო სასამართლოს.
7.2 ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ აზრს კარგავს ყველა წინა წერითი და ზეპირი შეთანხმება, მიმოწერა, მოლაპარაკებები მხარეთა შორის, რომელიც ეხება ხელშეკრულების საგანს.
7.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ნამდვილ ეგზემპლიარად, ერთნაირი იურიდიული ძალით, მათგან თითო ეგზემპლიარი ეკუთვნის თითოეულ მხარეს.

### 8. კონფედენციალობა

8.1. მხარეები მოვალენი არიან, წარუდგინონ ერთმანეთს ყველა ინფორმაცია, იმ დოკუმენტაციის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებისთვის.
8.2. მხარეები მოვალენი არიან, დაიცვან კონფიდენციალობა მიღებულ ინფორმაციასთან მიმართებაში.

### 9. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“

შპს „უგლეპრომ ჯორჯია“
თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 29/31/33
საიდენ. № 205292994

„შემსრულებელი“
შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტი“-
ქ. ბათუმი, ზ.გამსახურდიას ქ №21
ანგარიშსწორების ანგარიში №
**GE90BG0000000285162700**
ს.ს. „საქ. ბანკის ბათ. ცენტრ. ფილიალი“
კოდი 220101502
საიდენტიფიკაციო № 245427364
ტელ. 27-47-84 მობ. 577-42-22-50

_______________ Дж. Гогитидзе / ჯ. გოგიტიძე

должна в течение 30-ти дней с момента расторжения договора, произвести полный взаиморасчет с другой стороной.

### 7. ПРОЧИЕ УСЛОВИЯ.

7.1. Все споры и разногласия, которые могут возникнуть из настоящего Договора или в связи с ним, будут по возможности разрешаться путем переговоров между Сторонами. В случае, если Стороны не придут к соглашению в течение 30 дней, то Стороны передадут рассмотрение дела в Арбитражный суд в соответствии с законодательством Грузии.
7.2. С момента подписания Договора все предыдущие письменные и устные соглашения, переписка, переговоры между Сторонами, относящиеся к предмету Договора, теряют силу.
7.3. Договор составлен в двух подлинных экземплярах, имеющих одинаковую юридическую силу, из которых по одному экземпляру для каждой из Сторон.

### 8. КОНФИДЕНЦИАЛЬНОСТЬ.

8.1. Стороны обязуются предоставлять друг другу любую информацию, включая документацию, необходимую для проведения работ, являющихся предметом Договора.
8.2. Стороны обязуются соблюдать конфиденциальность в отношении получаемой информации.

### 9. АДРЕСА И РЕКВИЗИТЫ СТОРОН.

**«ЗАКАЗЧИК»**
ООО «Углепром Джорджия»
Адрес, 29/31/33 ул. Чавчавадзе,
Тбилиси, Грузия -105
Регистрационный номер: 205 292 994

**«ИСПОЛНИТЕЛЬ»**
ООО „Аджарспецпроект“
Адрес, ул. З. Гамсахурдия №21
Г. Ватуми, Грузия
номер: **GE90BG0000000285162700**
Код : 220101502
№ 245427364

_______________ Д. Петров/ დ. პეტროვი

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
## ხელშეკრულება №1

ქ. ბათუმი 18 ოქტომბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ – "აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის გოჩა კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „აჭარასპეცპროექტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ხელმძღვანელის ჯემალ გოგიტიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებილი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ – აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს სასაწყობე შენობის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV კოდი: 71200000).

2.2. საპროექტრო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს 4X7 მეტრი ზომის სასაწყობო შენობის ასაშენებლად და უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტაციას. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

შემსყიდველი მიმწოდებელი

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების თავისებურებათა გათვალისწინებით.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ მიღება ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ხელშეკრულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შესაბამისად.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- გაწეული მომსახურებს დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა.

5.3. მომსახურების გაწევა დასრულებულად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.4. შემსყიდველი მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს – გიორგი დეკანაძე, სსიპ – აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე.

## 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა.

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №21.

6.2. მომსახურების გაწევა უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს საჭიროებისამებრ შესაბამისი კონსულტაციების გაწევა მიმწოდებლისათვის მომსახურების გაწევის პროცესში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტებში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

## 8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებელების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ – აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე – გიორგი დეკანაძე.

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

### 10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პიგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის და დასრულების შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები

| სსიპ – "აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო" | შპს „აჭარასპეცპროექტი" |
|---|---|
| მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი. №21 | მისამართი: ქ. ბათუმი, ზვიად გამსახურდიას ქ№19-21 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 245 632 383 | საიდენტიფიკაციო კოდი: 245 427 364 |
| ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" | ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ანგარიში № GE78BG0000000886744500 | ანგარიში № GE90BG0000000285162700 |
| უფროსი: | ხელმძღვანელი: |
| გოჩა კახიძე | ჯემალ გოგიტიძე |

შემსყიდველი

მიმწოდებელი

# მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი " 01" "ნოემბერი" 2011 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა ერთის მხრივ შპს "აჭარსპეცპროექტი"-ს საიდენტიფიკაციო კოდი №245 427 364 ხელმძღვანელმა ჯემალ გოგიტიძემ და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი "აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო"-ს, საიდენტიფიკაციო კოდი №245 632 383 წარმოდგენილი სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე გიორგი დეკანაძემ შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ პირველმა მხარემ ჩააბარა და მეორე მხარემ ჩაიბარა სასაწყობე შენობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

აქტი სწორია, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

ჩააბარა: / ჯემალ გოგიტიძე/

ჩაიბარა: / გიორგი დე